

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე «აივ ინფექცია/შიდსის შესახებ»

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს კანონის «ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ» მოქმედი რედაქცია უკვე აღარ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, მისი ნორმები მოძველებული, არარეალიზებადი და ზოგ შემთხვევაში აივ ინფიცირებულთა / შიდსით დაავადებულთა უფლებების დაცვის თანამედროვე სტანდარტების საწინააღმდეგოა. ამავდროულად, კანონის რიგი მუხლები გაუმართავია საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც.

მოქმედი კანონი «ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ» მიღებულია 1995 წელს, ამ დროიდან დღემდე ქვეყანამ მიიღო ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მარეგულირებელი რიგი კანონები, რამაც ბუნებრივად განაპირობა აივ ინფექცია / შიდსის შესახებ კანონის გადახედვისა და ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა. კერძოდ, რიგი საკითხები უკვე მოქცეულია საქართველოს სხვა კანონების რეგულირების სფეროში («პაციენტის უფლებების შესახებ», «საექიმო საქმიანობის შესახებ», «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» და სხვა კანონები), ამდენად, ამ ჩანაწერების დატოვება კანონის რედაქციაში მიზანშეუწონელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ითვალისწინებს საკითხთა დაკონკრეტებას აივ ინფექციის კონტექსტში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექცია / შიდსის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დახვეწა, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან შესაბამისობაში მოყვანა და აივ ინფექცია / შიდსის შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანობის ზრდა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით შემოთავაზებულია რამდენიმე სიახლე, კერძოდ:

აივ ინფექცია / შიდსისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს გზამკვლევებით, ქვეყანაში უნდა არსებობდეს «ეფექტური ნაციონალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს კოორდინირებულ, ერთობლივ, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ მიდგომას და რომელშიც გაერთიანებული იქნება ყველა სახელისუფლებო შტოს პასუხისმგებლობა აივ პოლიტიკისა და პროგრამებისათვის».

ხსენებული რეკომენდაციის გათვალისწინებითა და ქვეყნის მასშტაბით შიდასი გავრცელების პრევენციისა და კოორდინირებული უწყებათაშორისი მუშაობის მიზნით, კანონპროექტით შემოთავაზებულია *ერთიანი სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს* შექმნა მთავრობის მიერ. კანონპროექტით განსაზღვრულია საბჭოს უფლებამოსილებები, კერძოდ, იგი კოორდინაციას უწევს სახელმწიფო, ადგილობრივ, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციათა (დაწესებულებათა) შეთანხმებულ მოქმედებებს, ახორციელებს მათ საქმიანობაზე მონიტორინგს, შესაბამისი რესურსების მოძიებას აივ ინფექცია / შიდასი გავრცელების პრევენციისა და კონტროლის მიზნით, ოპერატიულ რეაგირებას ახდენს აივ ინფექცია / შიდასი პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას, ქვეყანაში აივ ინფექცია / შიდასი წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ინიციატივების/საკითხების სამთავრობო დონეზე განხილვას და გადაწყვეტილებების მიღებას.

აივ ინფექცია / შიდასისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს გზამკვლევების მიხედვით, ქვეყნის კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს აივ-თან დაკავშირებული მომსახურების სახეების, ინფორმაციის, პრევენციული ღონისძიებებისა და მათზე ხელმისაწვდომობის შესახებ დებულებებს. ამ რეკომენდაციის კანონმდებლობაში გათვალისწინების მიზნით, კანონპროექტი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს აივ ინფექცია / შიდასის სფეროში; მათ შორის მნიშვნელოვანია: აივ ინფექცია / შიდასი პრევენციის და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, განხორციელება და ამ პროგრამების ფარგლებში მოსახლეობისათვის დროული და უწყვეტი სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა, აივ ინფექცია / შიდასის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება, აივ ინფექცია / შიდასის საპასუხო ღონისძიებების ერთიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა, აივ ინფექცია / შიდასის ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ეროვნული სისტემის გაძლიერება/ხელშეწყობა, სამედიცინო დახმარებისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი აივ ინფექცია / შიდასთან მიმართებაში და სხვა.

გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად, ქვეყნის კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს აივ ინფიცირებულთა / შიდასით დაავადებულთა პიროვნების პატივისცემასა და ეთიკური ნორმების დაცვას. შემოთავაზებული კანონპროექტით უზრუნველყოფილია ფიზიკურ პირთა უფლებების, პატივისა და ღირსების დაცვა და მათი დისკრიმინაციის თავიდან აცილება აივ ინფექცია / შიდასთან მიმართებაში, აივ ინფექციაზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება, აივ ინციფირებულთა / შიდასით დაავადებულთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი, რეგლამენტირებულია სავალდებულო ტესტირების გამონაკლისი შემთხვევების ჩამონათვალი, მოცემულია აივ ინფიცირებულთა / შიდასით დაავადებულთა უფლებები და მოვალეობები.

კანონპროექტით განსაზღვრულია მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალის უფლება-მოვალეობები, რომელთაგან მნიშვნელოვანია მათი მოვალეობა – წარმართონ აივ ინფექცირებულთა / შიდასით დაავადებულთა დიაგნოსტიკა, მკურნალობა, პროფილაქტიკა, მხარდაჭერა / ხელშეწყობა და მოვლა კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად, მათი ნებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დაცვის საფუძველზე.

შემოთავაზებული კანონპროექტით ხდება მოძველებული, არარეალიზებადი ნორმების ამოღება კანონის რედაქციიდან (მაგალითად, შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზირებული სამსახური, სამთავრობო კომისია, შეუმოწმებელი სისხლის გამოყენების დაუშვებლობა და სხვა), მინიმიზირებულია დეკლარაციული ხასიათის ნორმები (როგორცაა, მაგალითად, ინფიცირებულისათვის განათლების, შრომის, სამედიცინო დახმარებისა და ინფორმაციის მიღების უფლება). მოქმედი კანონი ითვალისწინებს აივ ინფიცირებულთა / შიდსით დაავადებულთათვის სოციალურ გარანტიებს – ყოველთვიურ ფულად დახმარებას და შრომისუუნარობის შემწეობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხსენებული ნორმები პრაქტიკაში რეალიზებული არც ყოფილა, ხოლო მით უფრო დღესდღეობით მათი არსებობა კანონში გაუმართლებელია. ამდენად, შემოთავაზებული კანონპროექტით სოციალური დაცვის გაუმართლებელი გარანტიები (როგორცაა: *თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრები აივ ინფიცირებულის / შიდსით დაავადებულისათვის საქალაქთაშორისო სახელმწიფო ტრანსპორტით უფასო მგზავრობა თბილისამდე და პირიქით, წელიწადში ოთხჯერ; 18 წლამდე ინფიცირებულ პირთათვის მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობით უზრუნველყოფა; სტაციონარში აივ ინფიცირებულის / შიდსით დაავადებულის მომვლელ მშობელთა, მეურვეთა ან მზრუნველთა სამუშაოდან გათავისუფლება და დროებითი შრომისუუნარობის შემწეობით უზრუნველყოფა...*) გათვალისწინებული არ არის.

გარდა აღნიშნულისა, აივ ინფექცია / შიდსის შესახებ კანონმდებლობა იხვეწება საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ სჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს გაეროს განვითარების პროგრამის შიდსთან ბრძოლის ხელშემწყობი პროექტის ექსპერტებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან:

პარლამენტის წევრი გიორგი წერეთელი;

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის «გლობალური ფონდის» პროექტის ფარგლებში შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: მაია მესხი, მზია ტაბატაძე, ნინო ნადაშვილი, ნია ბადრიძე, კახაბერ კეპულაძე;

გაეროს განვითარების პროგრამის შიდსთან ბრძოლის ხელშემწყობი პროექტის ექსპერტები: გურამ კიკნაძე, გივი ჯავაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია -----.